# ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის

## ბრძანება № 1924

„02" აგვისტო 2016 წელი

ქ. ზუგდიდი

**ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 24 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის, 119-ე მუხლის, 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-მუხლის, 23-მუხლის, 36-ე მუხლის, „ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) სარგებლობაში პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გადაცემისას, საიჯარო ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 01 აგვისტოს N59 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**1.** გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 24 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით, ერთ ლოტად, დანართის შესაბამისად;

**2.** ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და

ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 36-ე მუხლის შესაბამისად;

**3.** განისაზღვროს საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა (დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადგენილი საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით, აუდიტორული დასკვნა: N02/841; N02/843; N02/846; N02/847; N02/849; N02/852; N02/853; N02/859 - 23.12.2015წ. N03/001; N03/002; N03/004; N03/005; N03/006; N03/007; N03/008; N03/009; N03/010; N03/011; N03/012; N03/013; N03/014; N03/015; N03/016; N03/017 – 22.07.2016წ.) „ბე" და ბიჯი, კერძოდ:

> 24 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის წლიური საწყისი საიჯარო საფასური განისაზღვროს - 6175 (ექვსი ათას ასსამოცდათხუთმეტი) ლარით; **,,ბე"** - განისაზღვროს 1235 (ერთი ათას ორასოცდათხუთმეტი) ლარით; **ბიჯი** - განისაზღვროს 700 (შვიდასი) ლარით.

**4.** განისაზღვროს უძრავი ქონების სარგებლობაში, იჯარის ფორმით გაცემისას პირობებიანი ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი, კერძოდ: 2016 წლის 3 აგვისტოს 16 საათიდან 2016 წლის 9 აგვისტოს 16 საათამდე.

**5.** უძრავი ქონება სარგებლობაში, იჯარის ფორმით გაიცეს 30 წლის ვადით.

**6.** აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**7.** ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 27-ე მუხლის მე-3 პუქტის თანახმად ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირის ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის გადასახდელი ქირის ოდენობაში.

**8.** მუნიციპალიტეტის ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ოქმის საფუძველზე, არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორთან გააფორმოს სარგებლობის ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**9.** პირობებიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო წლიური საიჯარო ქირის 1/12 ნაწილი გადაიხადოს ყოველთვიურად ყოველი თვის ხუთ რიცხვამდე.

**10.** ელექტრონული აუქციონის პირობებად განისაზღვროს: ა) მოაწყოს 24 მოსაცდელი; ბ) განახორციელოს არანაკლებ 250 000 ლარის ინვესტიცია; გ) 4 მოსაცდელი განათავსოს 2016 წლის სექტემბრის ბოლომდე, ხოლო დანარჩენი 20 ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში; დ) ჰქონდეს ავტობუსების გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობის, ექსპლუატაციის და მართვის გამოცდილება; ე) მოსაცდელი მოაწყოს ქარხნული წესით. აუქციონში გამარჯვებულს უფლება აქვს: ა) აუქციონის შედეგად მიღებულ ტერიტორიაზე განათავსოს ბანკომატი, ფეიბოქსი, სავაჭრო წერტილები, სავაჭრო დახლდგარები და ა.შ; ბ) მოსაცდელები აღჭურვოს სარეკლამო კონსტრუქციებით.

**11.** პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე სრულად ირიცხება ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

1. პირობებიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა სარგებლობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

**12.** თანხა პირობებიან ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირებმა უნდა გადაიხადონ შემდეგ რეკვიზიტებზე: სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრალიზებული შემოსავლები, ხაზინის ერთიანი ანგარიში №GE24NB0330100200165022; ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი №TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 300813047 (მიწის იჯარა).

**13.** პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს სსიპ-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ.

**14.** პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით ინფორმაცია განთავსდეს სსიპ-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე www.eauction.ge.

**15.** პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით ინფორმაციის განთავსება სსიპ-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე უზრუნველყოს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურმა.

**16.** მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია აუქციონის პირობების სრულად დაკმაყოფილება (პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში) და მუნიციპალიტეტის ქონების ვადიანი სარგებლობისათვის ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

**17.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ვიცე მერმა გია გულორდავამ.

**18.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**19.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ზუგდიდი, გრიგოლ ქობალიას ქუჩა №12).

ირაკლი გოგოხია
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი

დანართი

## ლოტი N1

| N | ობიექტის მისამართი | ობიექტის დასახელება | მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | საიჯარო ქირის წლიური საფასური (ლარი) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ.ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზირი | 12კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.49.373 | 180 | |
| 2 | ქ.ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზირი | 12კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.55.545 | 180 | |
| 3 | ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა | 12კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.58.303 | 120 | |
| 4 | ქ.ზუგდიდი, ქუჯის ქუჩა | 12კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.58.305 | 120 | |
| 5 | ქ.ზუგდიდი, ცოტნე დადიანის ქუჩა | 12კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.49.375 | 120 | |
| 6 | ქ.ზუგდიდი, ი.ჭავჭავაძის ქუჩა | 12კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.42.247 | 120 | |
| 7 | ქ.ზუგდიდი, ხუბულავას ქუჩა | 12კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.75.149 | 120 | |
| 8 | ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა | 12კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.49.380 | 120 | |
| 9 | ქ.ზუგდიდი, თამარ მეფის ქუჩა | 36კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.58.550 | 360 | |
| 10 | ქ.ზუგდიდი, თამარ მეფის ქუჩა | 30კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.62.336 | 300 | |
| 11 | ქ.ზუგდიდი, თამარ მეფის ქუჩა | 36კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.58.549 | 360 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | ქ.ზუგდიდი, თამარ მეფის ქუჩა | 27კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.62.335 | 270 | |
| 13 | ქ.ზუგდიდი, თამარ მეფის ქუჩა | 30კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.62.334 | 300 | |
| 14 | ქ.ზუგდიდი, თამარ მეფის ქუჩა | 30კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.62.333 | 300 | |
| 15 | ქ.ზუგდიდი, სულთანის ქუჩა (ლუის კარინსკის მოედანი) | 36კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.61.247 | 360 | |
| 16 | ქ.ზუგდიდი, ჯანაშიას ქუჩა | 36კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.62.332 | 360 | |
| 17 | ქ.ზუგდიდი, სოხუმის ქუჩა | 36კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.45.126 | 360 | |
| 18 | ქ. ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქ.N20ა | 36კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.73.275 | 360 | |
| 19 | ქ.ზუგდიდი, სოხუმის ქუჩა | 36კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.42.296 | 360 | |
| 20 | ქ.ზუგდიდი, სოხუმის ქუჩა | 31კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.53.140 | 310 | |
| 21 | ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა | 17კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.56.311 | 255 | |
| 22 | ქ.ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზირი | 15კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.55.631 | 225 | |
| 23 | ქ.ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზირი | 17კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.55.633 | 255 | |
| 24 | ქ.ზუგდიდი, სოხუმის ქუჩა | 36კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | N43.31.49.440 | 360 | |
| | | *სულ ჯამი* | | 6175 | |